ხელშეკრულება

შრომითი ურთიერთობის შესახებ

ქ. თბილისი **_._.2025წ.**

ერთის მხრივ, შპს ____ (ს.კ. ____), წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით (შემდგომში „დამსაქმებელი“) და მეორე მხრივ, _____ (პ.ნ_____) (შემდგომში „დასაქმებული“) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამსაქმებელი დასაქმებულს სამუშაოზე იყვანს _____ პოზიციაზე და დასაქმებული თანხმობას აცხადებს შეასრულოს მასზე დაკისრებული სამუშაო წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

1.2. დამსაქმებელი უხდის დასაქმებულს შესრულებული სამუშაოს საფასურს - ხელფასს _____ **ლარის** ოდენობით. აღნიშნული თანხა არ მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათალისწინებულ გადასახადებს, მხოლოდ საპენსიო გადასახადს, 2%.

1.3. შრომის ხელშეკრულება ძალაშია 2024 წლის 1 მარტამდე, შესაძლო გაგრძელების პერსპექტივით.

1.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პოზიციაზე დასაქმებულის მიღება ხდება ამ ხელშეკრულების საფუძველზე და რაიმე სახის დამატებით აქტს არ საჭიროებს.

2. სამუშაოს შესრულების პირობები

2.1. სამუშაოს შესრულების ადგილია - _____

2.2. დამსაქმებელი გააცნობს დასაქმებულს მის კონკრეტულ ვალდებულებებს დასაქმებულის მიერ თავისი ფუნქციების შესრულების დაწყებისა და მიმდინარეობის პროცესში.

2.3. დასაქმებულს, სამუშაო ადგილზე ___ წუთი და მეტის დაგვიანების შემთხვევაში, დღიური ანაზღაურებიდან გამოაკლდება ____%.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. დამსაქმებელი

3.1.1. უფლებამოსილია მიიღოს დასაქმებულისთვის შესასრულებლად სავალდებულო შიდა რეგულაციები. დასაქმებულის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის ან შრომითი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დამსაქმებელი უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით ან/და დამსაქმებელის შიდა რეგულაციებით დადგენილი დისციპლინარული სანქციები, მათ შორის გაფრთხილება;

3.1.2. უფლებამოსილია მოსთხოვოს დასაქმებულს დამსაქმებლის მიერ დაკისრებული ყველა ვალდებულებების შესრულება.

3.1.3. უფლებამოსილია მოსთხოვოს დასაქმებულს წერილობითი ან/და ზეპირი ანგარიშის წარდგენა შესრულებულ სამუშაოზე და სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ;

დამსაქმებელი	დასაქმებული
_____	_____

3.1.4. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს გადაუხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელფასი და აანაზღაუროს ზეგანაკვეთური სამუშაო.

3.2. დასაქმებული ვალდებულია

3.2.1. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები;

3.2.2. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამუშაოს გაცდენის შემთხვევაში წარმოადგინოს შესაბმისი ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან.

3.2.3. წინამდებარე ხელშეკრუელბის 6.4. მუხლით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, ახალი თანამშრომლის აყვანის შემთხვევაში, დასქმებულმა უნდა შეასწავლოს და გადააბაროს მისი პოზიციის შესაბამისი ყველა საშჭირო ინფორმაცია;

3.2.4. აუნაზღაუროს დამსაქმებელს ვალდებულებების განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობით/არაჯეროვნად შესრულებით დამსაქმებლისთვის მიყენებული ზიანი;

3.2.5. გაუფრთხილდეს დამსაქმებლის მიერ მისთვის მინდობილ დამსაქმებლის ქონებას. დასაქმებული ღებულობს თავის თავზე სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას დამსაქმებლის მიერ მასზე ჩაბარებულ ქონებაზე;

4. ანაზღაურება

4.1. დამსაქმებელი დასაქმებულს უხდის 1.2 პუნქტით შეთანხმებულ ანაზღაურებას არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო თვის ბოლო რიცხვში ნაღდი ან **უნაღდო** ანგარიშსწორებისწესით.

4.2. დამსაქმებელი არარის ვალდებული აანაზღაუროს ის დღეები, როდესაც დასაქმებული საკუთარი ბრალით არ ასრულებდა სამუშაოს.

4.3. ანაზღაურებას ექვემდებარება ზეგანაკვეთური სამუშაოც. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება განსაზღვრულ სამუშაო დროს - კვირაში **40** საათს.

4.4. ზეგანაკვეთური სამუშაოს დროის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს **საათში ____ ლარის ოდენობით.**

4.5. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო დღის ბოლოს ქვითრებსა და ერთიან სისტემაში დასაქმებულის პირადი გვერდის დადარების დროს გამოვლინდება თანხის უზუსტობა ან/და დანაკლისი, დასამქენულს აღნიშნული თანხა გამოექვითება ხელფასიდან.

5. ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე.

5.2. დამსაქმებელს შეუძლია, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს შრომის კოდექსის 47-ედა 48-ემუხლებისშესაბამისად;

5.3. დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ამას ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსი, დასაქმებული მიიღებს მის მიერ შეწყვეტამდე გამომუშავებული ხელფასის ოდენობას და კომპენსაციას მისი ერთი თვის ხელფასის ოდენობით. დასაქმებულს არ გადაეხდება კომპენსაცია დასაქმებულის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ან/და კომაპნიის შრომის შინაგანაწესის შესაბამისად მასზე დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულების უხეში დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას.

5.4. შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულის ინიციატივით შეწყვეტისას დასაქმებული ვალდებულია არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი წინასწარ წერილობითი

შეტყობინების გაგზავნით.

6. ფორს მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომიდასხვა) ზეგავლენით, რომელთა წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება აღემატება მხარეთას გონივრულ კონტროლს და შესაძლებლობებს. დაუძლეველ ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება ისეთ მოვლენებს, რომლთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს არ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა (ფორს-მაჟორი)

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია პირველივე შესაძლებლობისთანავე აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ის საყოველთაოდ აღიარებული არ არის. თუ ასეთი მოვლენები გაგრძელდა 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადით მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ ხელშეკრულება.

7. დავის გადაწყვეტა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული და მისგან გამომდინარე შრომითი დავები უნდა გადაწყდეს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის მოლაპარაკების გზით.

7.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განხილული და გადაწყვეტილ იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საერთო სასამართლოების მეშვეობით.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

8.2. ყველა შეტყობინება და/ან სხვა ინფორმაცია მხარეებს უნდა გაეგზავნოს წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე.

8.3. მხარეებმა აღნიშნულის დასტურად, წინამდებარე ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ზემოთაღნიშნულ დღეს.

9. მხარეთა რეკვიზიტები

დამსაქმებელი	**დასაქმებული**
შპს	
ს.კ.:	**პ.ნ.**
მის:	**მის:**
დირექტორი:	